ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 26 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებონენ: ი. ნადარაია თ. გულუა, გ. ქაძანაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მერიის მხრიდან წარმოდგენილ განმარტებით ბარათში არ არის მითითებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური თუ ვის მოემსახურება და ვის დაქვემდებარებაში არსებობს და გამომსვლელს სთხოვა განმარტება.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ განმარტებით ბარათში არ იყო დეტალურად გაშიფრული თუ ვის და რა სახის დახმარებას გაუწევდა მოსახლეობას ზემო აღნიშნული სამსახური და საკრებულოს წევრებს გააცნო სსიპ იურიდიული სამსახურიდან შემოსული წერილი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელებდა უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას, სოციალურად დაუცველი და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისათვის. იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი. სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

3. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, „იურიდიული დახმარების სამსახური" არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას მოწყვლადი ბენეფიციარებისთვის. სამართლებრივი მომსახურეობის ეფექტურად და დროულად მისაღებად, მოსახლეობისათვის სამართლებრივ დახმარებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს" გადაეცეს ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე განთავსებული 19.14 კვ.მ საოფისე ფართი, ს/კ 45.20.05.024, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით), არსებობის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებს დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის მე-6 პუნქტი, ხოლო განკარგულების დანართს დაემატოს გასაცემი ფართის საკადასტრო კოდი 45.20.05.024, რის შემდგომაც ეყაროს კენჭი საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით კენჭი ეყარა კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებონენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, გ. ქამანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის თანდართულ, განმარტებით ბარათში დეტალურად არ არის განმარტებული თუ რა მიზნით გადაეცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციას „თოლისკური“ აღნიშნული ფართი და საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თოლისკურის“ მიერ წარმოდგენილი წერილი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ პროექტმა „მეწარმეობის სკოლა ახალგაზრდული კერა“ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის დაფინანსებით და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობით, მიმდინარე საგრანტო კონკურსში რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სექტორთაშორისი პარტნიორობის ხელშეწყობა. პროექტი ითვალისწინებს თორსის თემში საგანმანათლებლო მეწარმეობის სკოლის დაფუძნებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდებს სამეწარმეო საქმიანობების პრაქტიკული და თეორიული საკითხების შესწავლაში, დასაქმებისთვის აუცილებელი უნარების გაუმჯობესებაში და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებზე წვდომაში. გამომსვლელის განცხადებით, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა მოთხოვნილი ფართი სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაეცეს დაინტერესებულ ორგანიზაციას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ თავმჯდომარის ქალბატონ გვანცა კიკალეიშვილისნაირი ადამიანები ბევრი უნდა ჰყავდეს მუნიციპალიტეტს, ის წლებია აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. სოფლისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების გააქტიურება, რომელსაც მისი საქმიანობა ხელს უწყობს. გ. კიკალეიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანია და ამიტომაც ახერხებს იმას, რომ დონორი ორგანიზაციების მხრიდან მიიღოს მხარდაჭერა სხვადასხვა სფეროში. მისი უშუალო აქტიურობით გამოცოცხლება შეიმჩნევა სოფელში, რომელიც უდაოდ დასაფასებელია. გამომსვლელმა, დასასრულს წარმატებები უსურვა მას საქმიანობაში და სთხოვა ორიოდე სიტყვით განემარტა ორგანიზაციის გეგმების შესახებ.

გ. კიკალეიშვილი - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ ეს იყო ევროკავშირის დაფინანსებით და საქართველოს სტრატეგიული

კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი, რომლებთანაც მათი ორგანიზაცია წლებია თანამშრომლობს. მიმდინარე პროექტის ფარგლებში ევროკავშირი ითხოვდა მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩართულობას. ვინაიდან, სადაც უნდა განთავსდეს საგანმანათლებლო სამეწარმეო სკოლა, არის აუთვისებელი და გაურემონტებელი ფართი, გამომდინარე აქედან გადაწყდა აღნიშნული ფართის რეაბილიტაცია და ათვისება, რომლის სახით კიდევ ერთი ლამაზი შენობა შეემატება სოფელს და მთლიანად მუნიციპალიტეტს. აღნიშნული ცენტრის ფუნქცია და დანიშნულება იქნება ის, რომ ტექნოლოგიური მიმართულებით აპირებენ გააქტიურებას. ეს სკოლა ითვალისწინებს ახალგაზრდების გადამზადებას ტექნოპარკში, რომელთანაც უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას და კადრებს გადაამზადებენ უფასოდ და შემდგომ გადამზადებული ახალგაზრდები თავიანთ თანატოლებს გაუზიარებენ მიღებულ ცოდნას. ამ ეტაპზე თანამშრომლობის საკითხი იკვეთება ილიას უნივერსიტეტთან, რომელთანაც ტექნოლოგიების და ინოვაციების მიმართულებით იგეგმება ბევრი სიახლეები. პროექტის თანადაფინანსებას ახორციელებს ორი ბიზნეს კომპანია, რომლებიც პროექტის დაფინანსების შემთხვევაში რამოდენიმე პერსონალურ კომპიუტერს გადასცემს მეწარმეობის სკოლას. მისი განცხადებით, პროექტის შემდგომი მსვლელობისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა, რომელიც პროექტში განისაზღვრა და ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული ორგანიზაციისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთელ წარმატებები უსურვა გ. კიკალეიშვილს წამოწყებულ საქმიანობაში და აღნიშნა, რომ ასეთ საკითხებში მუნიციპალიტეტი გვერდში დაუდგებოდა მის ორგანიზაციას. რის შემდეგაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

3. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს განათლებისა და განვითარების ცენტრი ,,თოლისკური", რომელიც ახორციელებს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას, შემდგომში დაგეგმილი აქვს ახალგაზრდების გადამზადება სხვადასხვა საქმიანობაზე. საქმიანობის ნორმალურად წარმართვის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განათლებისა და განვითარების ცენტრ ,,თოლისკურს" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 98 კვ.მ ფართი, ს/კ 45.06.23.015, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით, (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით), 2 წლის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებონენ: ი. ნადარაია, თ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N26 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. კახა ლატარია
8. მერაბ ფილიპია
9. ბექა მამაცაშვილი
10. თენგიზ აბაკელია
11. გოჩა ჯობავა
12. დავით ცინაძე
13. ია ჯიშკარიანი
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. როლანდ სერგია
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. კობა გოქაძე
24. ნიკოლოზ ვეკუა
25. შადიმან ჭილაია
26. მერაბ ნადარაია
27. აკაკი ხურცილავა
28. ლაშა ცატავა